

მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა საქართველოში



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ENVIRONMENTAL
INFORMATION AND EDUCATION
CENTRE



Sweden/შვედეთი
Sverige



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პროექტი “ნარჩენების მართვის დარგში ტექნიკური დახმარება საქართველოში ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით ცნობიერებისა და კომუნიკაციის დონის და ამ დარგში, ევროკავშირის მხარდაჭერის ცნობადობის ასამაღლებლად“ და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირისა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის შეხედულებებს.



ყოველწლიურად საქართველოში დაახლოებით 900 000 ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება, რომელიც შეიცავს 1000-მდე სახიფათო და არასახიფათო ნივთიერებას.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ) ევროპაში დანერგილი ნარჩენების მართვის წარმატებული მოდელია.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება გულისხმობს პროდუქციის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ პასუხისმგებლობის აღებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე.



მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება პირველად შვედეთში, თომას ლინდკვისტის მიერ შვედეთის გარემოს დაცვის სამინისტროსთვის 1990 წლის ანგარიშში იქნა წარმოდგენილი

რათომ მგვ?

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ხელს უწყობს

- // ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასა და რესურსად გამოყენებას
- // ნარჩენების ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის სხვა ფორმების დანერგვას
- // ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის შემცირებას
- // სახიფათო ნივთიერებების უსაფრთხო დამუშავებას
- // რესურსებისა და ღირებული მეორადი ნედლეულის გამოყენებას
- // სხვადასხვა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლში ჩართული ყველა ოპერატორის (მწარმოებელი, იმპორტიორი, დისტრიბუტორი, მომხმარებელი, შემგროვებელი, დამშლელი, რეციკლირების განმახორციელებელი და ექსპორტიორი) საქმიანობის გარემოსდაცვითი მაჩვენებლების გაუმჯობესებას
- // პროდუქციის უკეთესი დიზაინის შექმნას
- // ახალი სანარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნას, და რაც მთავარია
- // ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას

საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვა სპეციფიკური ნარჩენებისთვის, რომელიც ძალაში 2019 წლის დეკემბრიდან უნდა შევიდეს.

როგორი სპეციფიკური ნარჩენები ეფერება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მოქმედების სფეროში?

- /// შეფუთვის ნარჩენები (პლასტმასი, ქაღალდი, მუყაო, ხე, ლითონი, მინა)
- /// ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები
- /// ხმარებიდან ამოღებული საბურავები
- /// ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები
- /// გამოყენებული ზეთები
- /// გამოყენებული ბატარეები და აკუმულატორები

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016) განსაზღვრავს ნარჩენების მართვის მინიმალურ მაჩვენებლებს:

	2020	2025	2030
გამოყენებული ბატარეები	20%	50%	80%
გამოყენებული ზეთები	50%	75%	90%
შეფუთვის ნარჩენები	40%	75%	90%
ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები	20%	50%	80%
ხმარებიდან ამოღებული საბურავები	50%	70%	90%
გამოყენებული აკუმულატორები	60%	80%	90%
ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები	20%	50%	80%

შესაფუთი მასალები

შესაფუთი მასალები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის გამოიყენება როგორც პროდუქტის შესანახად, ასევე სარეკლამო მიზნითაც. შესაფუთი მასალები უნდა იყოს რაც შეიძლება მსუბუქი და გამძლე. შესაფუთი მასალები მზადდება პლასტმასისგან, ლითონისგან, მინისგან, ქალაქისგან, ხისგან, ან რამდენიმე განსხვავებული ფრაქციისგან. შიგთავსის გამოყენების შემდეგ შესაფუთი მასალა ნარჩენად იქცევა და საჭირო ხდება მისი მოშორება.

შეფუთვის ნარჩენებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტების დარეგულირების მიზნით, ევროპის ქვეყნებში კონკრეტული ზომები იქნა მიღებული მიღებული ჯერ კიდევ 1990-იან წლებში. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების, ნარჩენების მართვის იერარქიისა და სხვა ეკონომიკური ინსტრუმენტების დანერგვამ, აგრეთვე შედარებით ახალმა „ცირკულარული ეკონომიკის“ მიდგომებმა, ევროკავშირის ქვეყნები რეციკლირების სექტორის ლიდერად აქცია. კანონმდებლობა სასარგებლო მასალების აღდგენის და, შესაბამისად, რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიმართულებით სულ უფრო მაღალ და ამბიციურ მიზნებს განსაზღვრავს. მართლაც, შეფუთვის ნარჩენების რეციკლირების მაჩვენებელი თავდაპირველად 25% იყო, შემდეგ 55%-მდე გაიზარდა და 2018 წელს 65%-ს მიაღწია.

სტატისტიკის თანახმად, 2017 წელს საქართველოში დაახლოებით 195,000 ტონა შეფუთვის ნარჩენი წარმოიქმნა, საიდანაც უდიდესი ნაწილი გარემოში ან ნაგავსაყრელებზე მოხვდა. შეფუთვის ნარჩენის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს შეუძლია გაითვალისწინოს ევროპის მრავალწლიანი გამოცდილება და 2019 წლის ბოლოსთვის კერძო და სახელმწიფო ინიციატივების საშუალებით შექმნას რეციკლირების სქემები. ამჟამად რეციკლირება განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება, თუმცა არსებობს საბოლოო მომხმარებლის ინფრასტრუქტურა, რაც ამ დარგის შემდგომი განვითარების შესაძლებლობაზე მიუთითებს. მუნიციპალიტეტებმა უნდა დანერგონ სეპარირებული შეგროვების სისტემები. ამისათვის მათ საჭირდებათ ნარჩენების კონტეინერები, ნაგავშიდები და ნარჩენების დახარისხების ობიექტები.

ცხადია, რომ წარმატების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას ნარჩენების სეპარირებაში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა წარმოადგენს.

/// ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები

ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების წლიური მაჩვენებელი დაახლოებით 12,000 შეადგენს. მათი უდიდესი ნაწილი საქართველოს ქუჩებშია მიტოვებული. აღნიშნული მდგომარეობა არ არის მისაღები, რადგან ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები სახიფათო ნარჩენად ითვლება და სათანადო დამუშავების გარეშე მათ შესაძლოა გარემოს მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპის დანერგვის შედეგად, ბოლო მესაკუთრეს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს შეგროვების პუნქტების ქსელით, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. ავტორიზებული შემგროვებლისთვის ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ მიწოდება ავტომანქანების რეგისტრაციიდან მოხსნის წინაპირობა იქნება. ამ გზით მოხდება ნარჩენის გაუვნებელყოფის, დაშლისა და ავტომანქანაში არსებული ლითონებისა და სხვა სასარგებლო მასალის დაახლოებით 80%-ის ხელახალი გამოყენების/რეციკლირების წახალისება.

/// ბატარეები (პორტატული) და აკუმულატორები (არაპორტატული)

ბატარეები და აკუმულატორები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათ გარეშე შეუძლებელია ელექტრონული, ელექტრო, სამედიცინო და სანარმოო აპარატურის, ავტომანქანებისა და სხვ. მუშაობა.

„საქსტატის“ ბოლო მონაცემების თანახმად, ბაზარზე წლის განმავლობაში 550 ტონა პორტატული ბატარეა და 5,500 ტონა აკუმულატორი ხვდება.

ბატარეები შეიცავენ გარემოსათვის მავნე ნივთიერებებს და რეციკლირებად ლითონებს (ნიკელი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ტყვია, მანგანუმი, და სხვ.), ამიტომ აუცილებელია მუნიციპალურ ნარჩენებში მათი მოხვედრის თავიდან აცილება. რესურსების დაზოგვისა და ნიადაგისა და წყლის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, ევროკავშირი განსაზღვრავს ბატარეების გარკვეული სტანდარტებით შეგროვებისა და დამუშავების წესებს. ამისათვის გამოყენებული ბატარეების მართვა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულის ფარგლებში უნდა მოხდეს.

ბატარეებზე მკაფიოდ უნდა იყოს დატანილი ინფორმაცია საბოლოო მომხმარებლისათვის გამოყენებული ბატარეების მუნიციპალური ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებში მოთავსების დაუშვებლობის შესახებ.

/// ხმარებიდან ამოღებული საბურავები

ხმარებიდან ამოღებული საბურავები ნარჩენების მუდმივად მზარდ ნაკადს წარმოადგენს კერძო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე მზარდი დამოკიდებულების გამო. საქართველოში ხმარებიდან ამოღებული საბურავების რაოდენობა წელიწადში დაახლოებით 30,000 ტონას აღწევს. საბურავები მზადდება სინთეტური რეზინის, ფოლადისა და ქსოვილების გამოყენებით. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ამოქმედების შემდეგ აიკრძალა ხმარებიდან ამოღებული მთლიანი საბურავების ნაგავსაყრელზე განთავსება. აღნიშნული აკრძალვა შეგვიძლია საქართველოსთვის კარგ შესაძლებლობად განვიხილოთ, რადგან ხმარებიდან ამოღებული საბურავები წარმოადგენს ისეთი მასალებისა და ენერჯის რესურსს, რომელთა აღდგენაც სათბურის აირების ემისიების შემცირებასთან არის დაკავშირებული.

ევროკავშირის ქვეყნებმა შეგროვების შთამბეჭდავ 96%-იან მაჩვენებელს მიაღწიეს, რაც დიდწილად განპირობებული იყო საბურავებისგან წარმოებული ისეთი პროდუქტების ბაზრების არსებობით, როგორცაა საფეხბურთო სტადიონების და სათამაშო მოედნების საფარი, ასფალტისთვის საჭირო რეზინა, კონტეინერების ბორბლები, ფეხსაცმელი, მეორადი სანჯავი ცემენტის გამოსანჯავი ლუმელებისათვის. საქართველოში აღნიშნული პროდუქტებიდან საქართველოში რამდენიმე უკვე გამოიყენება და მომავალში მოსალოდნელია მათი უფრო ფართოდ გავრცელება.

/// გამოყენებული ზეთები

გამოყენებული ზეთები გამოიყენება როგორც ავტომანქანებში, ასევე სამრეწველო სექტორის მანქანა-დანადგარებში. ზეთები ნავთობისაგან მზადდება, ამიტომ გამოყენებული ზეთები სახიფათო ნარჩენად ითვლება და სათანადო მართვას საჭიროებს. შესაბამისად, აუცილებელია მათი სეპარირებული შეგროვება და დამუშავება გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

„საქსტატის“ თანახმად, საქართველოს ბაზარზე ყოველწლიურად საშუალოდ 12,300 ტონა საპოხი ზეთი ხვდება.

გამოყენებულ ზეთებს საკმაოდ მაღალი საბაზრო ღირებულება აქვს. საქართველოში არსებობს გამოყენებული ზეთების ბაზარი, თუმცა ის არაორგანიზებული და უკანონოა. საჭიროა შეგროვების ოფიციალური პუნქტების შექმნა, რომლებიც გამოყენებულ ზეთებს ავტომაქსების სარემონტო სახელოსნოებიდან, გაზგასამართი სადგურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, და სხვ. ჩაიბარებენ. არსებობს ისეთი საწარმოო პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ გამოყენებული ზეთების აღდგენა ახალი საპოხი ზეთების ხარისხამდე.

ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები (WEEE)

ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების კატეგორიებს მიეკუთვნება მსხვილი და მცირე საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო აპარატურა, განათების მოწყობილობები, ელექტრო და ელექტრონული იარაღები (მსხვილგაბარიტიანი სტაციონარული სამრეწველო იარაღების გარდა), სათამაშოები, დასვენებისა და სპორტული აღჭურვილობა, სამედიცინო მოწყობილობები (იმპლანტირებული და ინფიცირებული პროდუქტების გარდა), მონიტორინგისა და კონტროლის იარაღები, ავტომატური დისპენსერები.

ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობა მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით იზრდება. მსოფლიოში ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობამ 2014 წელს 41.8 მილიონი ტონა შეადგინა, ხოლო 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 65.4 მილიონ ტონამდე გაიზარდა.

საქართველოში ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების კონკრეტული სახეობის (სარეცხი მანქანები, მაცივრები, საყოფაცხოვრებო კონდიციონერები, კინესკოპური მონიტორები და ტელევიზორები, ლეპტოპები, ნოუტბუკები, პლანშეტები, მობილური ტელეფონები, კომპიუტერის ბრტყელი ეკრანები, ტელევიზორის ბრტყელი ეკრანები) ბაზრის მოცულობამ 2016 წელს 14,600 ტონას მიაღწია. პროგნოზის თანახმად, აღნიშნული მოწყობილობების მოხმარების მოცულობა 2027 წლისთვის 52,000 ტონას მიაღწევს. აღნიშნული 9 კატეგორიის მოწყობილობებიდან ნარმოქმნილმა ნარჩენებმა 2017 წელს 15,700 ტონა შეადგინა, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 4.2 კგ-ის ტოლია. უხეში გათვლებით, ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების საერთო რაოდენობა 2017 წელს შესაძლოა 29,100 ტონა, ან ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 7.8 კგ იყოს¹.

¹ შეფასება არ არის დამყარებული მონაცემების საკმარის რაოდენობაზე და საჭიროებს დაზუსტებას. ნარმოდგენილი მონაცემები არ უნდა ჩაითვალოს ზუსტ მონაცემებად, ვინაიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან ცდომილებას. ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბაზართან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი ნარმოდგენის შესაქმნელად.

სწრაფი ეკონომიკური განვითარება, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების წარმოებისა და მოხმარების მოცულობების მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, საფრთხეს უქმნის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას არასათანადოდ განთავსებულ ნარჩენ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებში არსებული სახიფათო ნივთიერებების გამო. დამცავი ფენებისა და სისტემების არმქონე ნაგავსაყრელებზე ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების განთავსების შედეგად ხდება სახიფათო ნაერთებისა და მძიმე ლითონების გაჟონვა და ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურება. ასეთი დაბინძურება ძალიან სახიფათოა არა მარტო უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებისა და იქ მცხოვრები ადამიანებისთვის, არამედ საკმაოდ დაშორებული ადგილებისა და ამ ადგილების მცხოვრებლებისთვისაც.

ისეთი მძიმე ლითონები, როგორცაა ტყვია, ვერცხლისწყალი, დარიშხანი, კადმიუმი, სელენიუმი, ექსვალენტიანი ქრომი და ანტიპირენები, რომლებსაც შეიცავენ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, საშიანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მცირე რაოდენობითაც კი. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებში გვხვდება ისეთი მძიმე ლითონები, როგორცაა ნიკელი, სპილენძი, ქრომი და თუთია, რომლებიც სახიფათოა შედარებით მაღალი კონცენტრაციების შემთხვევაში. აღნიშნული მძიმე ლითონების გარემოში გავრცელება ხდება ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების არასათანადოდ შეგროვების, დამუშავების, ინსინერაციის ან ნაგავსაყრელებზე განთავსების შედეგად.

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები ასევე შეიცავს მცირე რაოდენობის ისეთ ძვირფას ლითონებს, როგორცაა ვერცხლი (Ag), ოქრო (Au), პლატინა, პალადიუმი, და სხვ. მცირე რაოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რეციკლირებასა და ხელახალი გამოყენების მიმართ გამრდილი ინტერესს განპირობებულია ღირებული ლითონების აღდგენით მიღებული ეკონომიკური სარგებლით.

